

გაზეთის ფასი

მთლიანი ტფილისში	6 მან.	7 მან.
და გარეშე ადგილებში:		
მთის წლისა	7 მან.	6 მან.
ნოემბრის წლისა	4 —	3 — 50 კ.
სამის თვისა	2 — 50 კ.	2 —
საღამო ერთის ნომრისა გაუგზავნელათ	3 შაურის.	

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

დროება

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქი-შვილის და კაპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბებუთაძის სახლში
 ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ Тифлиси. ВЪ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.
 რედაქციის კანტორაში მიიღება უფელ-გვარი **ბანსხადება** სხვა და სხვა ენებზედ. შასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-ბრძის ასობით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საკოლიტიკო და სალიტიერატურო გაზეთი.

ბანსხადება

გაზეთის „დროების“ გამოცემა

1870 წელს.

მოამაველს 1870 წელს „დროება“ გამოვა შემდეგი პროგრამითა:

- I) მხარეთმცოდნეობის განსაკუთრებული ისეთი, რომელნიც ჩვენ მხარეს შეეხებინან.
 - II) შინაგანი ცნობები. ეს განყოფილება შეიცავს ჩვენი ქვეყნის და ხალხის ისეთს ახალ ამბებს, რომელნიც უფრო შესანიშნავი იქნებიან. ამ განყოფილებაში რედაქცია, მართლ-ქახეთისა და იმერეთის შესანიშნავ ამბებს გარდა, მოაქცევს აგრეთვე, რამდენათაც შესაძლო იქნება, ყურადღებას ძველისი ყველა ტომებსა.
 - III) ცნობები რუსეთში. რედაქციას ძალიან კარგათ ესმის, რომ რუსეთის შინაგანსა და გარეგან ცხოვრებას დიდი გავლენა აქვს ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრებაზე და იმიტომ ცნობები რუსეთის ცხოვრებაზე, უქვეყლია, ჩვენი მკითხველებისთვის სასარგებლოთ დარჩებიან.
 - VI) კორაპსონდენციები. გაცნობენ მკითხველებს ჩვენსა და სხვა ხალხების ყოფა-ცხოვრებასა, ჩვეულებებს და ხასიათებს; ამავე განყოფილებაში იქნებიან მოკლე ცნობები მოსაქმის მდგომარეობაზე და საზოგადოთ ჩვენს მეთრენობაზე.
 - V) პოლიტიკაში უმთავრესი ყურადღება მიეპყრობა ისეთს თანამედროვე ერთა ცხოვრების მოვლინებაებს, რომელთაც რაიმე საქვეყნო მნიშვნელობა ექნება.
 - VI) სამოსამართლო პროცესები დაიბეჭდებიან ისეთი ჩვენსა და სხვა მხრის სასამართლოებში ნაწარმოები სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეები (პროცესები), რომელთაც უფრო შესანიშნავათ დაინახავს რედაქცია.
 - VII) გაზეთში მიეცემა აგრეთვე ადგილი მოკლე მოთხრობებს, სენეებსა და ლექსებს, თუ თავის შინაარსით ამის ღირსნი იქნებიან ისინი.
 - VIII) პედაგოგიური სტატიები.
 - IX) ბიბლიოგრაფიული ნაწილში მკითხველი ნახავს მოკლე განხილვას ჩვენი დრო-გამოშვებით გამოცემების და ახალ გამოშვული წიგნებისას. რედაქცია ეცდება არ დააგდოს აგრეთვე უყურადღებოთ ისეთი უცხო ქვეყნების თხზულებები, რომელთაც ექნება რაიმე საზოგადო ინტერესი.
 - X) ფაქტობრივი
 - XI) სხვა და სხვა შესანიშნავი ამბები. სავაჭრო განსხადებაები: ბირჟებზე კურსების მდგომარეობა, იჯარით აღება, მამულების ყიდვა და გაყიდვა.
 - XII) ბიბლიოგრაფიული და კამკოლობითი განსხადებაები.
- ამას გარდა მოამაველ წელში დაიბეჭდება „დროებაში“ მოკლე ისტორიული სტატიები ეპოქის უმთავრეს სახელმწიფოებზე.
- ახალი რედაქცია მოინახრს ყოველ ღონის-ძიებას, რომ შემდეგში ყველა ხელის მომწერ-ლებს თავის დროზე მიუვიდეს გაზეთი.
- შეორჩილესად ეთხოვთ მოამაველს ხელის მომწერლებს—დაბარებისა თანავე გამოგზავნონ რედაქციაში გაზეთის ფასი და კარგათ დაწერილი თავიანთი სახელი და გვარი და ადრესი.

ხელ-მოწერის ფასი:

	მან. კაპ.	მან. კაპ.
მთლიანი ტფილისში და აგრეთვე გარეშე ადგილებში	6	7
ნახევრის წლისა	3	4
სამის თვისა	2	2 50
მთლიანი თვისა	75	1

ხელის მოწერა:

შეიძლება თბილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კაპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბებუთაძის სახლში.

თბილისის გარეშე მცხოვრებთა შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ გაზეთი. ВЪ Тифлиси. ВЪ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“, при типографіи Меликова и К-о.

დროებითი რედაქტორი ს. მესხი:

გამომცემელი ს. მელიქიშვილი.

შინაგანი ცნობები.

მისის იმპერატორებისთვის უმალესობა დიდი მთავარი ძველნი ნამესტნიკი და დიდი მთავრინა მღვდა შეოდორეს ასული უაგუ-სტოესი შეიღებთურთ მშვიდობით მიბრძანდნენ პეტერბურღში 19 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე.

ძველნი სამეურნეო საზოგადოებასთან შესდგა განსაკუთრებით კომიტეტი, რომლის თაემჯდომარეთ ამორჩეულია ღენ. მიორი მურავეი და რომელმანც „სრულიად რუსეთის ხელთ-საქმარების გამოფენისთვის“ უნდა დაამზადოს ძველისი აქეთა და იქეთა მხრის ნაწარმოები. შექველია, ამ გამოფენაში, რომელიც იქნება პეტერბურღს, ჩვენი ქვეყნის მცხოვრებლები მიიღებენ მონაწილეობას და აჩვენებენ რუსეთს თავის საუკეთესო ხელნასაქმარებს; იმერეთის სურები (წურწურები), აფხაზეთის ნახლები, ახალციხის ბაშლულები, ლეკური შალები და ხანჯლები და სხ. ბევ-ლირსეულნი არიან, მგონია, რომ ისინი გაი-ცნოს ქვეყანა.

მისაც რისამე გავზავნა ჰსურს, თავის დრო-ზე უნდა მიმართოს თბილისში სამეურნეო საზოგადოების ცალკე კომიტეტს.

სოხუმის მარის სამხედრო მთავრობა აცნობებს მთის სამმართველოს, რომ ამ 1869 წლის ოქტომბრამდინ აფხაზეთში მოუქრის-ტიანებით 7894 კაცი და 904 ცოლქმარს ხელ-ახლათ ჯვარი დაუწერიათ, რადგან უწინ ისინი ყოფილან დაქორწინებულნი მუ' უღობ-ნის წესითა.

წარსულს კვირას 23 ნოემბერს შესდგა თბილისში ერთი საზოგადოება, სახელად „არ-ტისტიული წრე“, რომლის დანიშნულება ის არის, რომ ხელი გაუმართოს ადგილობრივ ნიჭიერ არტისტებს—მოსაკრავებებს და რი-გიანი დროს გატარების საშუალებაც მისცეს აქაურ საზოგადოებას; ამისთვის ის გამართავს დრო გამოშვებით მუზიკალურ და სხვა გვარ-საღამოებსა.

წარსული კვირის შაბათიდან თითქმის ამ ოთხშაბათამდის გაუწყნარებლად მოდის თბი-ლისში თოვლი; თუ სხვაგანაც ამისთანა თო-ვლი მოვიდა, ეს უნდა იამოსთ, რასაკვირვე-ლია, თბილისის გუბერნიის მემამულეებს, რა-დგან ზოგიერთს ადგილებში, როგორც „ძვე-კაზში“ სწერენ, გაჩნდილან მინდვრის თავებები და პურის მარცვალს სკამენო; შენიშნულია, რომ თავებები იხორციებიან, როგორც კი თო-ვლი დნობას იწყებს.

მუთათიდან იწერებიან, რომ იქაური საზო-გადოება ახლა სურის ცირკით არის გართუ-ლი. განსაკუთრებით ყურადღება მიუქცევიათ ქუთათელებს სურის ვირის ვარჯიშობისათვის, რომელსაც, როგორც ამბობენ, ადტაყებაში მოაქვას თურმე ისინი.

რუსეთის ამბები.

„მელის გაზეთის“ სიტყვით, ზოგმა რუსე-თის ფრანგების მღვდლებმა სთხოვეს მმართვე-

ბლობას, რომ გააუქმოს ის განკარგულება, რომლითაც მღვდელს აღკრძალული აქვს ცო-ლის შერთვა; ისინი ამტკიცებენ, რომ ეს აღკრძალვა ეკლესიის წესზე არ არის და-ფუძნებული და შემდეგში შემოულიათ ვის-კოპოზებსაო.

„დროების“ მკითხველებს ვაცნობთ ამას წინეთ, რომ მარშავში (პოლშაში) გახსნეს ამ უკანასკნელ დროს უნივერსიტეტი. პი რას იწერებიან „მსტვის გაზეთში“ ამ უნი-ვერსიტეტზედ: თვითონ უნივერსიტეტის შე-ნობას სრულიად რუსული სახე აქვს; მთავარი კარების ზევით მიკრულია ორთავიანი არწივი და რუსული ზედ წარწერა: „იმპერატორის უნივერსიტეტი“. თითონ შენობაში ყველა ზედწარწერები აუდიტორიებზედ, პოლშური ენის მაგიერათ, რუსულს ენაზედ არის; გან-ხადებებიც აგრეთვე რუსულათ არიან დაწე-რილნი; ერთი განცხადება ამბობს, რომ სტუ-დენტებს არა აქეთო ნება, რომ წვერ-ულვა-ში მოიშვანო. პოლშური ენისა და ლიტე-რატურის სწავლა აღარ ურევია ახალს უნი-ვერსიტეტის პროგრამაში. სტუდენტების რი-ცხვი ამ წამათ—1,036 არის: 60 ფილოლო-გიურს ფოკულტეტზე, 246—ფიზიკურს და მატემატიკურზე 406 იურიდიკულზე და, 324—მედიცინის ფოკულტეტზე.

გაზეთს „ახალ დროებაში“ სწერენ, რომ მოსკოვში ხელოვანი ხალხისთვის კერძო-ბითი ბანკი წესდებაო.

ქვეში სდგება საზოგადოება, რომლის და-ნიშნულება ის არის, რომ მისცეს შემწეობა მუშა-ხალხს, როცა, რომელიმე გარემოების მიზეზით, ზოგიერთს იმათგან არ ექნება სა-მუშაო.

„მოსკოვის უწყებებში“ იწერებიან რევე-ლიდან, რომ იქაური აზნაურობის წინამძღო-ლი სხვათა შორის იმიტომ გარდადგაო სამსა-ხურიდგანო, რომ ვითომ აზნაურობას არ მოაწონდა იმის მოქმედება მმართველობის წინაშე. აზნაურობა თხოულობდა, რომ იმას გაეწია ფიცხელი წინააღმდეგობა რუსული ენის გავრცელებისათვის მსტლანდიაში და სხვა ბევრ უსაფუძვლოებას (მეტი რო არა ეთქვათ).—ახლამ აზნაურობის წინამძღოლმა პირდაპირ გამოაცხადა თავის უწყების ბრძა-ნებაში, რომ საქმეები ნემეტურს ენაზედ უნდა აწარმოონო, რადგან იმას რუსუ-ლი ენა არ ესმისო. „მოსკოვის უწყე-ბების“ კორრესპონდენტი ამ სიტყვებით ათავებს თავის წიგნს: „იმისთანა წინამძღო-ლის გამოჩენვა, რომელმანც არ იცის რუსუ-ლი ენა, ძლიერ შესანიშნავია. მმართველობას ჰსურს გაავრცელოს ადმინისტრაციაში რუსუ-ლი ენა და აზნაურობა კი იმისთანა წინამ-ძღოლს ირჩევს, რომელიც უარს ჰყოფს ამ ენის შემოღებაზე“.

მოსკოვის უნივერსიტეტიდან დაუთხოვიათ 20 მეოთხე კურსის მედიცინის სტუდენტი, რომელთაც განუცხადებიათ, რომ არა გესურ-სო პროფ. პოლუნინის ლექციების სმენაო.

რედაქცია უპოჩინოსად თხოვს იმ ხელის მომწერლებს, რომელთაც აქამდე გაზეთის ფული არ შემო-შბანიათ, რაც შეიძლება მალე გა-მოგზავნონ.

შინაგანი ცნობები: განცხადება 1870 წ. „დროების“ გამოცე-მაზე.—შინაგანი ცნობები.—რუსეთის ამბე-ბი.—„დროების“ კორრესპონდენცია რაკიდ-გან.—პოლიტიკა: შრანცია,—იტალია,—ისპანია,—სესტრია,—პრუსია და შერმანია,—შვეიცრია.—ტე-ლეგრაფიები.—სხვა და სხვა ამბები.—ლექსი.—სა-ბიბლიოგრაფიო განცხადებაები.—შოჩტა-ტელე-გრაფიები.—

გულ-კეთილი გლენ-კაცი თავის ხარჯით ქი-რაობს ამ უკლინათვის მასწავლებელს, მღე-დელს და წიგნებსაც ჰყიდულობს. —

ზაზეთში „Современныя Известія“ მოყუ-ნილია ანგარიში წიგნების ეპიკრიზისა რუსეთ-ში, რომლისაგანაც სჩანს, რომ, საშუალო რი-ცხვით, ყოველ წელიწადს რუსეთიდან გააქეთ სხვა ქვეყნებში—120,000 მანეთის წიგნები და შემოაქეთ უცხო ქვეყნებიდან თითქმის ნახევარ მილიონისა (500,000 მან). შარ-შან გაიტანეს რუსეთიდან 101,000 მანეთის წიგნები. ნემენკური წიგნები, საშუალო რი-ცხვით, შემოდის 80,000 მანეთის და ფრანცუ-ზული 260,000 მანეთისა.

ზაზეთში „Кіевлянинъ“ დაბეჭდილია ერთი სტატია, რომლიდანაც ვცნობთ, რომ ქიე-ში კარგა—ძალ ქურდებს და ავაზაკებს შეუყ-რია თავი. ძალიან შესანიშნავია იქაური პო-ლიციის განკარგულება ამ ხალხის შესახებ: ღამ-ღამით ზოგიერთი ავაზაკები, რომელთაც იცნობს პოლიცია, უნდა მივიდნენ თურმე პოლიციაში და იქ დარჩნენ დღამდღი, რომ არაფერი ცუდი საქმე არ ჩაიდინონ; დილას კი იმათ გამოუშვებენ პოლიციიდან და საღამო-მდე თავისუფალნი არიან; საღამოს ისევ პო-ლიციაში უნდა შეიკრიბონ და ღამე იქ უნ-და გაატარონ.

თქმული მეფის ირაკლის ასუ-ლის მარია მ—ქალაქის მოურავის დაეით სიცოცხლის მეფის ასუ-გან—მეფის ძის აღექსან დრეს და-წინ დულის-ნინოს სიკვდილზე. *)

შაბართოს იყო ერთი მზებრწყინვალე მანა-თობელად, მისივე ხანა ასული, ვინ არის ჩერქეზთ მფლო-ბელად, რძალთ მოუწოდა მეფემან პალატის შესამ-კობელად, და იესო მრისტეს რძლად ექმნა უმანკო დაუ-ქნობელად. იქმნა ქალწულთა მოდასი სიწმინდით სა-ბელიანად, იგი სოფლისა მნათობი, ვარდი ჰყვარდა იანად. მასთმო სოფლისა დიდება, ედემის ტახტს ზის სეიანად და აწ რა ქნას მისმა მშობელმან, ნახვა მიხე-დების გვიანათ.

*) ეს ლექსები მივიღეთ ერთი პატრიცეუმული პირი-საგან შემდგომი წიგნითურთ: „რედაქტორი! გიგზავ-ნით ამ ლექსს, რომელიც მივიღე კნ. ბარბარე შობუ-ლოვისაგან და რომელიც თავის სიძველით და მშვენი-ერებით, იმედა, ღირსი შეიქნება თქვენ პატრიცეუმულს გაზეთში დაბეჭდვისა. ამასთანავე დავსძინებ, რომ ამ ლექსის შენახვისათვის უნდა უმადლოდეთ ხსენებულ კნ. ბარბარე შობულოვისას, რომლის იშვიათმა მეხსი-ერებამ დაიმარხვა ის აქამომდე“.

კნ. ბარბარე შობულოვის სიტყვით, ამ ლექსს გარ-და, მრავალი სხვაც არის მარამ ბატონისშვილის ნა-თქვამები, რომელნიც თ. ალექსანდრე ბიორგის ძეს თუ მანოვს ჰქონდაო. რედაქტორ! სთხოვეთ თ. ა. თუ-მანოვს, თუ შესაძლებელი იქნება, გამოგზავნოს დასა-ბეჭდათ ხელნაწერები მარამ ბატონისშვილისა, რადგან, უმკველია, ისინი იქნებიან გამოსადგომი, როგორც ის-ტორიული მასალები. —

რედ. მეფე ირაკლიმ უთხოვა თავის შვილს ალექსანდრეს შაბართოს მთავრის ქალი, რომელიც მიიპარა თავის რძალს იულონის ცოლს სალომეს, მთარ ამილახვ-რის დასა; ისწავლა საბლთო წიგნი, აგრეთვე სამეფო-სახლის შესაფერი ქცევა, მონათლეს და უწოდეს—ნი-ნო. მაგრამ რომლისავე მიზეზით, დაულოტდა და მო-კვდა და მეტეხში დამარხეს. ეს მოხდა ჟენოზამდის ოთ-ხის წლის წინეთ.

შენიშ. კნ. ბ. შობულოვისა.

წარმოვსთქვა მისი შეგნება, თუ მიხედეს ჩემი გონება, ხელ-შკლავთა ნახად გაზიდა, შავთა წამწამთა ქონება, უშინჯო პირის მხატრობა—ჩინელთაც მოე-წონება და ვისთვის გასწირა სიცოცხლე, მკერდს ვე-ღარ დაეკონება.

მთხოვბოდა სოფელსა, ხმელეთს მნათობი მზვოდა, აწ დაუტეო სოფელი, სად ემიყოფები მეოდა, სად არის ჩემი დიდება, ლომ—გული, მეფის ძეოდა და ველარ მიხილვენ მოყვასნი, ჟამი მაქვს მცირე დღეოდა.

დაელოულნეს მელნის ტბანი, ინდოელნი სცილდნენ ჯარად, ლალთა კარნი და ქოხნეს, ელეა კრთების აღარ ჩქარად; მნა, ტკბილთ მოუბარო, ველარა ხმობდა ნარ-ნარად, და ბროლს თითნი დაუკრთვეს ქალაღზე-და დასაფარად.

მეფე მიბრძანდა კრებულთ, ახლდნენ მნა-თობნი ასული, მისი სანდომი შეგნება, ვით დაეთმო, სოფ-ლათ გასულთა, ჰოი, საბრალო მშობელი იგ, ვისი იყო ასული და ველარა განახოს მამამან, შაბართოს შიგან მისული!

თვით დედოფალიც წარწარად საღმობდა, ხმობდა ამასა; მელნის ტბას შიგან ნადები, ვარდი დაეღტო ნამასა; ბრძანა: უშენოთ მნათობნი ველარ მისცემენ დრამასა; და შენის მეტი არა ყავს რა შენს განწორულ-სა მამასა.

ს ა ქ რ მ ო ს თ ა ნ ო რ ი შ ა ი რ ი

I სატრფოთ მქონდა შენი ნახვა, ხელმწიფის შეილო, სვიანო, მსურდა თქვენი სიხლოვე, ტანად აღვისა ხიანო, ტან-ახოვანო ჰაბუკო, მებრძოლთა თქვენთა ზიანო! ნუ დაიფიწყებ შენთვის მკედარს, მეფის ძეგ დაეითიანო.

II

დაეფლა მიწას მნათობი, შაბართოს მთავ-რის ასული, ბაგე ლალისა მბაძავი, ნახი, წარწარად მკო-ბილი, იაგუნდისა ბაგესა, შინ მარგალიტი წყობილი, მდემის სიტყვით ველარ ხმობს, იქმნა სოფ-ლისგან ჰქნობილი.—

ხალის მოწმება 1870 წელსა.

„ქაპკაზი“

პოლიტიკური და ლიტერატურული გა-ზეთი.

შეიცავს შემდეგ განყოფილ ე-ბაეებს:

I მღვიციალური ნაწილი. II არა ოფიცია-ალური ნაწილი: შესანიშნავი თბილისის ამ-ბები, ცნობები საზოგადო ცხოვრებაზე, შე-სანიშნავი პროცესები, რომელნიც ნაწარმო-ები იქნებიან აქაურს სასამართლოებში, სხვა და სხვა შენიშვნები და სხ. III ქორეგსპონ-დენტები ქაეკასიის სხვა და სხვა ადგილები-დან; აგრეთვე იმის მომიჯნავე სპარსეთის და მსმალეთის მახრებრიან. IV ტელეგრაფები. V შინაგანი ცნობები. VI პოლიტიკური ცნო-ბები. VII მტროგრაფიული, ეკონომიური, გე-ოგრაფიული და ისტორიული სტატიები ქაე-

კასზე. VIII ბიბლიოგრაფია: კრიტიკული გა-ჩივები იმ თხზულებების, რომელნიც ქაეკასს შეეხებიან, შენიშვნები და ბიბლიოგრაფიული ცნობები. IX საეპრო ცნობები. X სხვა და სხვა ამბები: მოკლე ცნობები შესანიშნავს მოვლინებაზე მეცნიერებაში და რუსეთის და მერობის ცხოვრებაში. XI სახაზრო გან-ცხადებები: იჯარით აღებაზე, მამულების გა-ყიდებაზე და სხვ. XII ქერძობითი განცხა-დებები.

ზაზეთი „ქაპკაზი“ მომავალ წელში გა-მოვა, როგორც უწინ, კვირაში სამჯერ: კვი-რაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით. აქაური ეპიკრიზის საცნობელათ ყოველ №-ში იქნება დაბეჭდილი ტელეგრაფები პარიჟის და ლონდონის ბირჟებზე კურსების მდგომარეო-ბაზე, რედაქციაში მოგროვდა ბევრი საბეჭდი მასალა და ამის გამო იმას აქვს სახეში ხან-დისხან, ერთი ფურცლის ნაცელად, გამოსცეს ფურცელნახევარი № „ქაეკასისა.“ —

ზაზეთის შანი: შინ მიტანით და გაგზავ-ნით წელიწადში—12 მან. 50 კაპ., ნახევარ წელიწადში—6 მან. 50 კაპ., სამი თვის—3 მან. 50 კაპ.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე გამოგზავნონ შუ-ლანი და კარგათ დაწერილი ადრესები.

ხელის-მოწერა შეიძლება: თბილისში, გაზ. „ქაპკაზის“ რედაქციაში და ბერენშტამის წიგნის მაღაზიაში. მოსკოვში-წიგნის ეპიკრი-სის მაღაზიაში.—

ფოტო

თბილისიდან ფოტო მიღის: ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ მ რეევანში და ჯუღთისაკენ.—სამ-შ ა ბ ა თ ო ბ ი თ ბ ა ქ ო ს გუბერნიაში და შე-მახაში—მსუბუქი ფოტო.—მ თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ რუსეთში, მუთაისში—შოთამდნ, მრე-ევანში, ალექსანდროპოლში და ნოვოზიბოფთ-ში.—ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ — რუსეთში.— პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ — მუთაისში, ქახეთში და მრევანში. შ ა ბ ა თ ო ბ ი თ — რუსეთში და შემახაში.—ქ ე ი რ ა ო ბ ი თ რუსეთში და მუთაისში.



გ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა .

„სასოფლო გაზეთის“ გამოცემა

1870 წელში.

მომავალს 1870 წელს „სასოფლო გაზეთი“ გამოიცემა იმავე პროგრამით, როგორც ამ წელს გამოიცემოდა. ამას გარდა სასოფლო გაზეთში იქნება დაბეჭდილი სურათები სა-ოჯახო ცხოველ-მცენარებისა.

ხელმოსაწერი შანი:

გაგზავნით თბილისში და გარეშე ადგილებში ერთი წლისა ოთხი მანეთი; გაუგზავნელათ სამი მანეთი

სასოფლო სასამართლოებისათვის თბილისის გუბერნიაში გაგზავნით სამი მანეთი, ხო-ლო ქუთაისის გუბერნიაში ოთხი მანეთი. ნახევარი წლასა გაგზავნით ორი მანეთი; გაუ-გზავნელათ ერთი მანეთი და ათი შაური, ერთი ნომერი ორი შაური.

„სასოფლო გაზეთი“ გამოიცემა ორ კვირაში ერთხელ შაფათობით.

ხ ე ლ ი მ ო რ ი წ ე რ ე ბ ა .

თბილისში „დროებისა“ და „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვი-ლის და კაპ. სტამბაში.

თბილისის გარეშე მცხოვრებთა შეუძლიანთ მოითხოვონ ამ აღრისით;

Въ Тифлисъ. Въ Контору Редакціи „Сельск. Газеты“ при Типографіи Меликова. и К. რედაქტორი და გამომცემელი გ. წერეთელი.

ბელგრაფი.

დებუმი გასაგზავნი ფასი თბილისიდან: მუთაისში, ბაქოს, ვლადიკავკასს, მორბი-რს, შოთს, მრევანს, ახალციხეს, ნუ-ხას, შემახიას—1 მან. ასტრახანს, მერში, მოსკოვს და მდესას—2 მან.—ზორს, სი-დნალს—50 კაპ.—პეტერბურღს, მენვეს, სტამ-ბოლს—3 მან.—პარიჟს, ლიონს, მარსელს—3 მან. და 38 კაპ.

ბილიოგრაფიული განცხადებები.

ისქიდება

თბილისში მარტო ორ მაღაზიებში აღ-დათოვისა და მწიანჯიანისა:

ჩოხუბრი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავ-ჭავჭავაძისა, აკ. წერეთლის და სხვა მწერლების

ლ ე ქ ს ე ბ ი ს კ რ ე ბ ა ,

შედგენილი

ძ. ლორთქიფანიძისაგან.

პეტერბურღი. 1864.

შასი ერთი მანეთი.

ბილიოგრაფიული და კაპ. სტამბაში, (ხ-ნის ქუჩაზე, ზებუთოვის სახლში) და აგრეთვე აღ-დათოვის წიგნის მაღაზიაში

ისქიდება

„ქასია ალაშიანი“

თხზ. თ. ი. ჭავჭავაძისა-

ფასი ათი შაური

თ. გ. მრისთვის თხზულებები—

2 ტომის ფასი—სამი აბაზი.